ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7548957

ნომერი: AR11098268

თარიღი : 01.07.2025

გაცემის თარიღი : 10.07.2025

გაცნობის თარიღი : 10.07.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ევგენი მიქელაძის ქუჩა, N 9ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქრისტინა შარაშენიძე პ/ნ 17001029677
- ვანი ს. ტობანიერი 1–ლი ქ. N 5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 6 ივლისის №5488224 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 1 ივლისს №AR11098268 განცხადებით მომართა ქრისტინა შარაშენიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2021 წლის 6

ივლისის №5488224 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 6 ივლისის №5488224 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ევგენი მიქელაძის ქუჩა №9ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.13.03.023.089), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2022 წლის 24 ოქტომბრის №6176294 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2021 წლის 6 ივლისის №5488224 ბრძანებაში და „ა“ და „ბ“ ბლოკების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები დაფიქსირდა ცალ-ცალკე.
სამსხურის 2025 წლის 23 მაისის №7489724 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2021 წლის 6 ივლისის №5488224 ბრძანებაში (სამსახურის 2022 წლის 24 ოქტომბრის №6176294 ბრძანების გათვალისწინებით) და „ა“ ბლოკის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდა 2569.6 კვ.მ. საერთო ფართობად - 22371.4 კვ.მ. და შეთანხმებული გენ-გეგმა ჩანაცვლდა 2025 წლის 28 აპრილის №AR11088640 განცხადებაზე წარმოდგენილი გენ-გეგმით.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2021 წლის 6 ივლისის №5488224 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, „ა“ ბლოკის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ავტოსადგომის ფართობი 2569.6 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 2317.3 კვ.მ. ხოლო, საერთო ფართობი 22371.4 კვ.მ-ის ნაცვლად 22119.1 კვ.მ.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული -3.30 ნიშნულის გეგმა და ავტოსადგომის ფართობი შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ავტოსადგომისა და საერთო ფართობები არასწორი დაჯამების გამო. ამასთან, შეთანხმებული -3.30 ნიშნულის გეგმა არ იცვლება, უბრალოდ ხდება აღნიშნული ნიშნულის წარმოდგენილ გეგმაზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 6 ივლისის №5488224 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 6 ივლისის №5488224 ბრძანებაში და „ა“ ბლოკის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 2317.3 კვ.მ., საერთო ფართობად - 22119.1 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსხურის 2021 წლის 6 ივლისის №5488224 ბრძანებით შეთანხმებულის -3.30 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 6 ივლისის №5488224 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 6 ივლისის №5488224, 2022 წლის 24 ოქტომბრის №6176294 და 2025 წლის 23 მაისის №7489724 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.